ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №3

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.N 65

06.03.2023 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგით სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე-ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ჩიკვაიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ტოხვაძე.

/დანართი: N1/

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: გელა ღვიტიძე, რამაზ არველაძე, გრიგოლ მატარაძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი- ლუიზა ჯოგლიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული სტუმრები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- ზვიად კაპანაძე.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -მამუკა ნამიჭეიშვილი.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

2. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო და წლიური საიჯარო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე;

მომხს.: ზვიად კაპანაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ;

მომხს.: მამუკა ნამიჭეიშვილი

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2023 წლის თებერვლის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს.: გელა ჩიკვაიძე

5. საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

მომხს.: ვლადიმერ ჭვალაძე

6. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხს.: მამუკა ნამიჭეიშვილი

7. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხს.: დავით გაბუნია

8. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ანგარიში 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხს.: ლუიზა ჯოგლიძე

9. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ალექსანდრე ლილუაშვილი

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2023 წლის 6 მარტის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი: ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში ცვლილება არ შესულა. მიწის ნორმატიული ფასები დარჩა იგივე. მოუხედავათ ამისა ყოველ წელს საჭიროა ახალი დადგენილების მიღება, მაშინაც კი თუ ცვლილება არ იქნება.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2023 წლის 10 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-2 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი: ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო და წლიური საიჯარო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საპრივატიზებო ნუსხაში შესულია 7 ობიექტი და წარმოადგინა ეს ობიექტები თავის ღირებულებით:

1. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 818 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.22.400), საწყისი საპრივატიზებო საფასური 30000 (ოცდაათი ათასი) ლარი;
2. ქ. ვანში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 7 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.25.254), საწყისი საპრივატიზებო საფასური 400 (ოთხასი) ლარი;
3. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 514 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.22.399), საწყისი საპრივატიზებო საფასური 18000 (თვრამეტი ათასი) ლარი;
4. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 26 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26524), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1000 (ათასი) ლარი;
5. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. უხუთში მდებარე 82 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.12.24.397), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1000 (ათასი) ლარი;

6. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეინდარში მდებარე 7000 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.17.21.809), საწყისი საპრივატიზებო საფასური 6300 (ექვსი ათას სამასი) ლარი;

7. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 29 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26.522), საწყისი საპრივატიზებო საფასური 300 (სამასი) ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 10 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-3 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი: ,,ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ;
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლების მიხედვით შეირჩა 77 პროექტი და წარმოადგინა ეს პროექტები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 10 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-4 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა -ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის 2023 წლის 02 მარტის N65.-65230615 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, თებერვლის თვეში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 744 ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 10 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-5 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვლადიმერ ჭვალაძემ წარმოადგინა ,,საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ ნატო დვალიშვილმა დატოვა თანამდებობა და მისი ადგილმონაცვლეა ფრაქციის წევრი თორნიკე ერისთავი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ცნობად იქნა მიღებული ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ში ცვლილება.

დღის წესრიგის მე-6 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.“

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულებით ვანის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისთვის განესაზღვრა 580000 ლარი. კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდა წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პროექტების შერჩევა დაეფუძნა მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პრინციპს, დასახლებებში გაიმართა საერთო კრებები, სხდომები და კონსულტაციები. სადაც მოქალაქეებმა თავად მიიღეს გადაწყვეტილება განსახორციელებელი

პროექტის შერჩევის თაობაზე. მიმდინარე წლის დაფინანსების მიხედვით შერჩეული იქნა 71 პროექტი, პროექტების რაოდენობა გაიზარდა წინა წლების ეკონომიების 40300 ლარის პროექტებში დატანის ხარჯზე და საერთო რაოდენობა გახდა 77 პროექტი, რაც აისახა შესაბამის დოკუმენტში და განსახილველად წარედგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ."
დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-7 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნიამ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელმა განამარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური შედგება ხუთი განყოფილებისაგან:

1. საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.
2. იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.
3. სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება.
4. წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება.
5. ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება.

2022 წლის მონაცემებით, ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 77 განცხადება, დაკმაყოფილდა 77. დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა. პერსონალური მონაცემების სხვისთვის გაცემის ფაქტი არ დაფიქსირებულა.
2022 წლის მონაცემებით, ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სულ 16407 კორესპოდენცია, მათ შორის მთავრობის განკარგულება და დადგენილება, მოქალაქეთა განცხადებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით - სოციალური საკითხებზე დაკმაყოფილდა 863 განცხადება და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების 772 შუამდგომლობა. გამოცემულია მერის 1278 სამართლებლივი აქტი და შიდა წერილების რაოდენობაა 4128.
2022 წლის აპრილის თვეში ჩატარდა დახურული კონკურსი საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურში. დასაქმდა ერთი საჯარო მოხელე - სოციალური მუშაკი. მომზადებულია და საჯარო ბიუროში გაგზავნილია 2022 წლის პროფესიული განვითარების გეგმა. გეგმის შესაბამისად გადამზადებულია 19 პროფესიული საჯარო მოხელე.
ასევე საზოგადოებას სისტემატიურად მიეწოდებათ ინფორმაცია მერიის სამსახურების მიერ გაწეული სამუშაოს, მუნიციპალიტეტში მიმდინარე სხვადასხვა კულტურული, თუ ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ - ვანის მუნიციპალაიტეტის მერიის და მერის ოფიციალური ფეისბუქ გვერდების, ასევე მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდის „vani.gov.ge"ს მეშვეობით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია ,,ვანის მუნიციპალიტეტში მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ''.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-8 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ლუიზა ჯოგლიძემ წარმოადგინა ინფორმაცია ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ანგარიში 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების, აპარატის შინაგანწესის, საკრებულოს აპარატის მოხელეთა თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში სათანადო მუშაობა იქნა გაწეული საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა ნორმალურად განხორციელების მიზნით.

საკრებულოს აპარატში დასაქმებულია 19 თანამშრომელი. მ/შ: ქალი - 13 კაცი - 6

საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა ასეთია:

პირველი რანგის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი- 1

მეორე რანგის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განყოფილების უფროსი- 2

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, განყოფილების უფროსის მოადგილე - 4

მესამე რანგის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 6

საშტატო განრიგით დასაქმებულია 13, მ/შ: ქალი-10, კაცი-3.

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია - 6 მ/შ: ქალი - 3 კაცი - 3

საკრებულოს სახელფასო ფონდი განსაზღვრული იყო 686,760 ლარის ოდენობით. გაიხარჯა 686,760 ლარი, შტატიან თანამშრომლებზე გაიხარჯა 618,360 ლარი, შტატგარეშეზე 68,400 ლარი.

ავტომანქანის სათადარიგო ნაწილებისა და მიმდინარე რემონტისათვის გაიხარჯა 4,456 ლარი.

მიღებულია და ჩამოწერილია 53,243 ლარის ღირებულების საავტომობილო საწვავი.

სატელეფონო ხარჯებმა შეადგინა 5,320 ლარი.

ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულებაა - 61,334 ლარი. მ/შ: ავტომობილის: TOYOTA Hilux – (ემსახურება საკრებულოს თავმჯდომარეს), და ავტომობილი HYUNDAI SONATA – (ემსახურება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს). საერთო ღირებულებაა - 8,964 ლარი, მცირეფასიანი ინვენტარი- 52,370 ლარი.

საკანცელარიო ხარჯებმა შეადგინა 1,372 ლარი.

კუთვნილი ანაზღაურებითი სრული შვებულებით ისარგებლა: საკრებულოს - 9 წევრმა და საკრებულოს აპარატის - 12-მა თანამშრომელმა.

საავადმყოფო ფურცელზე (ბიულეტინზე) არავინ იმყოფებოდა.

სამივლინებო ხარჯებისათვის გახარჯულია 992 ლარი.

საკრებულოს წევრის (გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირისა) რაოდენობაა - 10. მათი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული იყო 74,250 ლარი, გახარჯულია-74,250 ლარი.

ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა

საკრებულოს წევრების პოლიტიკური თანამდებობის პირთა, აპარატის თანამშრომელთა არჩევა-დანიშვნის თვალსაზრისით გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის პრინციპი.

საკრებულოში შექმნილია: 5 კომისია. 2 ფრაქცია.

საკრებულოს წევრთა გარკვეული ნაწილი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის სხვადასხვა მუდმივმოქმედი, დროებითი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების შემადგენლობაში.

წლის განმავლობაში ჩატარებულია საკრებულოს-12 რიგითი და 3-რიგგარეშე სხდომა.საკრებულოს სხდომებზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულია 83 საკითხი.

საკრებულოს ბიუროს 12-რიგითი და 4-რიგგარეშე სხდომა. ბიუროს დღის წესრიგის შესაბამისად განხილულია-109 საკითხი.

მიღებულია საკრებულოს 31 დადგენილება და 44 განკარგულება, გამოცემულია საკრებულოს თავმჯდომარის 93 ბრძანება.

საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომები ძირითადად მიმდინარეობდა მათი სამუშაო გეგმებისა და შემხვედრი საკითხებიდან გამომდინარე.

ქვორუმის არ არსებობის გამო საკრებულოს, საკრებულოს კომისიების და ფრაქციების სხდომების ჩაშლის ფაქტებს ადგილი არ ქონია.

სხვადასხვა ინსტანციებიდან შემოსულია-132 კორესპოდენცია, რეაგირებული და ჩამოწერილია-132. შემოსულია მოქალაქეთა-3 განცხადება, რეაგირებული და ჩამოწერილია-3.

გაფორმებულია შესაბამისი სხდომის ოქმები და გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (vani.gov.ge), ანგარიშს თან ერთვის საკრებულოსა და კომისიის სხდომებზე, საკრებულოს წევრთა დასწრების სტრატეგია, დანართი N1-ის სახით (დანართი ორი გვერდი).

ადგილი არ ქონია შრომის დისციპლინისა და შინაგანწესის დარღვევის მნიშვნელოვან ფაქტებს, დისციპლინალური სასჯელი არავის გამოცხადებია.

მოწესრიგებულია საქმისწარმოების, საოქმე, საკანცელარიო და საკადრო დოკუმენტაცია.

საკრებულოს გარკვეული პოლიტიკურ თანამდებობის პირთა მიერ, ქონებრივი დეკლარაციების წარდგენა შესრულებულია განსაზღვრული ვადების დაცვით.

აქტიურია საკრებულოს ოფიციალური ვებ-გვერდი (vani.gov.ge) და დომეინთან არსებული ელ-ფოსტა (vani.sakrebulo@vani.gov.ge).

ხელმოსაწვდომია საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს პარატის თანამშრომელთა ინდივიდუალური ელ-ფოსტები და საკონტაქტო ტელეფონის მონაცემები.

საკრებულოს დადგენილებების, განკარგულებების, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებების პროექტების მომზადება, აპარატის შესაბამისი განყოფილების მიერ სრულდება კვალიფიცირებულად. მოწესრიგებულია საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომათა ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

დამაკმაყოფილებელია საარქივო მასალების სრულყოფისა და დროულად ჩაბარების საქმე. გავლილია და შეფასებულია საჯარო მოხელეთა პროფესიული შეფასების ყველა ეტაპი. საკრებულოს აპარატის თანამშრომლები თავიანთ თანამდებობრივ უფლება-მოვალეობებს ასრულებენ კარგად და საუკეთესოდ, რაც ასახულია მათი ეტაპობრივი პროფესიული შეფასების დოკუმენტებში.

საქართველოში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისო საბჭოს მითითებების შესაბამისად, სხდომები, თათბირები, თანამდებობრივი დამოკიდებულებები მიმდინარეობს სათანადო უსაფრთხოების წესების დაცვით. გარკვეულ კრიზისულ პერიოდში შემოღებული იყო მორიგეობის გრაფიკი და მუშაობის დისტანციური (ონლაინ) რეჟიმი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ანგარიში -2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

დღის წესრიგის მე-9 საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად საკრებულოს 2023 წლის 10 მარტის სხდომის დღის წესრიგი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭი უყარეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -8

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს 10 მარტის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგი. (დანართი N2)

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე